შპს ,,ინდიკო“

სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. თეკლათში ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია

სკრინინგის ანგარიში

თბილისი, 2022 წელი

სარჩევი

1. შესავალი 2
2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ 3
2.1 საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა 3
2.2 არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების და ტექნოლოგიური პროცესის აღწერა 5
3. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები 6
4. ობიექტის მუშაობის რეჟიმი და დასაქმებულების რაოდენობა 7
5. ობიექტის წყალმომარაგება 7
6. ზემოქმედების შეფასება 7
6.1 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე 7
6.2 ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე 8
6.3 ჩამდინარე წყლების მართვა 8
6.4 ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება, ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე 8
6.5 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე 9
6.6 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე 9
6.7 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე 9
6.8 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა 9
6.8.1 საყოფაცხოვრებო ნარჩენები 9
6.8.2 სახიფათო ნარჩენები 9
6.9 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება 10
6.10 ხმაურის გავრცელება 10
6.11 კუმულაციური ზემოქმედება 10
7. დანართი 1 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 11
8. დანართი 2 - ამონაწერი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო რეესტრიდან 13

1. შესავალი

შპს ,,ინდიკოს“ სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. თეკლათში გააჩნია ავტოგასამართი სადგური, რომელიც მდებარეობს კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე. მიწის საკადასტრო კოდია: 44.03.22.511, ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 2913 კვ.მ-ს.

ავტოგასამართ სადგურზე ამ ეტაპზე ხდება მხოლოდ დიზელის საწვავის მიღება და გაცემა. ტერიტორიაზე განთავსებულია ორი დახლოებით 50 ტონიანი რეზერვუარი დიზელის საწვავის შენახვის მიზნით. ამასთან, ტერიტორიაზე განთავსებულია 2 გასამართი სვეტი, რომელიც აღჭურვილია გაცემის 2 წერტილით, დიზელის საწვავის გასაცემად.

ვინაიდან საქართველოს გარემოსდაცვით შეფასების კოდექსის მე-II დანართის, მეექვსე პუნქტის, 6.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, ამასთან კომპანიას გავლილი არ აქვს აღნიშნული პროცედურა, 2021 წლის დეკემბერში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ობიექტის ინსპექტირების შედეგად მოხდა კომპანიის დაჯარიმება სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელების გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „გარემოსდაცვით შეფასების კოდექსის“ მე-II დანართის, მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში. ცნობები საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N 2 – ინფორმაცია კომპანიის შესახებ

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „ინდიკო”
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, სენაკი, ღვინჯილიას ქ., №3
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	239862298
კომპანიის ხელმძღვანელი	მანანა გვასალია
საქმიანობის სახე	ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. თეკლათი

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

2.1 საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა შპს ,,ინდიკოს“ სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. თეკლათში გააჩნია ავტოგასამართი სადგური, რომელიც მდებარეობს კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე. მიწის საკადასტრო კოდია: 44.03.22.511, ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 2913 კვ.მ-ს.

ავტოგასამართი სადგურისთვის განკუთვნილი ტერიტორია მოასფალტებულია და თავისუფალია მცენარეული საფარისგან. ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 280 მეტრი მანძილით. ტერიტორიას ირგვლივ ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

ნავთობპროდუქტების საცავის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია შპს „ინდიკოს“ საკუთრებაში არსებული ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი დანადგარი და ასფალტის ქარხანა. ობიექტამდე მიდის ასფალტირებული გზა რომლის მდგომარეობაც დამაკმაყოფილებელია. იხ. ობიექტის სიტუაციური რუკა სურ. N1.



სურ. N 1 - ობიექტის სიტუაციური რუკა

2.2 არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების და ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

ტერიტორიაზე, რომელზედაც უკვე ფუნქციონირებს ავტოგასამართი სადგური მოწყობილია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები:

- დიზელის გასაცემი 2 ცალი სვეტწერილი, 2 „პისტოლეტით“, შესაბამისი გადახურვით;
- 2 ცალი მიწისზედა რეზერვუარი დიზელის საწვავისთვის;

ტერიტორიაზე განთავსებულია ორი დაახლოებით 50 ტონიანი მიწისზედა რეზერვუარი, კერძოდ ერთი 50, 93 ტონიანი და მეორე 50,11 ტონიანი. აღნიშნული რეზერვუარები ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრულია ბეტონის კედლით, რომელიც უზრუნველყოფს ავარიული დაღვრის შემთხვევაში საწვავის დროებით შეკავებას. ორივე რეზერვუარი განკუთვნილია დიზელის საწვავისთვის. რეზერვუარები დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით. რეზერვუარები დამზადებულია ლითონის ორშრიანი ფურცლით.

სურ. N 8 - ნავთობპროდუქტების რეზერვუარები

სურ. N 8 - ნავთობპროდუქტების გასაცემი სვეტები

საწვავის დისპენსერები მილსადენების საშუალებით უკავშირდება საწვავის რეზერვუარებს.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების შემოტანა ხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით.

რეზერვუარებიდან საწვავის ამოღება მოხდება, სპეციალური ტუმბოს მეშვეობით, საიდანაც ავტომატურად მიეწოდება საწვავის გასამართ სვეტს, ტერიტორიაზე განთავსებულია 2 გასამართი სვეტი, თითოეული აღჭურვილია დიზელის საწვავის გასაცემი ერთი „პისტოლეტით“. საწვავის გასამართი სვეტი გადახურულია და ძირი მობეტონებულია.

3. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები

როგორც უკვე აღინიშნა შპს ,,ინდიკოს“ ობიექტამდე მისასვლელი გზა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. შესაბამისად, მისასვლელი გზის მოწყობის ან/და შეკეთებითი სამუშაოები საჭირო არ არის.

სურ. N 9 - მისასვლელი გზა

4. ობიექტის მუშაობის რეჟიმი და დასაქმებულების რაოდენობა

ობიექტი მუშაობს წელიწადში 330 დღიანი, დღეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. რაც შეეხება დასაქმებულების რაოდენობას, ამ ეტაპზე ობიექტზე დასაქმებულია 2 ადამიანი. ობიექტზე დაგეგმილია წელიწადში დაახლოებით 600 ტონა საწვავის მიღება და გაცემა. საწვავის გაცემა ხორციელდება მხოლოდ შპს „ინდიკოს“ საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

5. ობიექტის წყალმომარაგება

ობიექტის სასმელი წყლით მომარაგება ხორციელდება ბუტილიზირებული სახით, ხოლო რაც შეეხება ტექნიკურ და მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო წყალს, მისი აღება ხორციელდება სოფელში არსებული წყალსადენის ქსელიდან.

6. ზემოქმედების შეფასება

6.1 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე

ტერიტორიის სიახლოვეს დაცული ტერიტორიები და ტყის ფონდის ტერიტორიები არ მდებარეობს. შესაბამისად ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე მოსალოდნელი არ არის.

6.2 ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისგან. აქედან გამომდინარე, მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტერიტორია მდებარეობს საავტომობილო გზის ნაპირზე შესაბამისად გამოირჩევა ხმაურით, რომელიც გამოწვეულია იქ არსებული ადგილობრივი და საქალაქთაშორისო სატრანსპორტო მიმოსვლით. ამასთან ობიექტის მომიჯნავედ მდებარეობს და წლებია ფუნქციონირებს ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი და ასფალტის დანადგარები. შესაბამისად, ცხოველთა ბუდობისთვის ხელსაყრელი პირობები არ არის და ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.3 ჩამდინარე წყლების მართვა

სველი წერტილი რომლითაც სარგებლობენ ობიექტზე დასაქმებული ადამიანები მდებარეობს ასფალტის ქარხნის ტერიტორიაზე, საიდანაც ჩამდინარე წყლები ჩაედინება ტერიტორიაზე მოწყობილ საასენიზაციო ორმოში, რომლის გაწმენდაც ხდება გავსების შესაბამისად.

რაც შეეხება სანიაღვრე წყლების მართვის საკითხს, ავტოგასამართი სვეტების ტერიტორია გადახურულია და ძირი მობეტონებულია. შესაბამისად, სანიაღვრე წყლების დაბინძურებას ადგილი არ ექნება. საწვავგასამართი სვეტების ტერიტორიის გარეთ მოსული წვიმის წყლები, ჩაედინება სოფლის სანიაღვრე ქსელში. დაგეგმილი საქმიანობით სალექარის მოწყობა გათვალისწინებული არ არის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უშუალოდ ნავთობპროდუქტების გაცემის უბანზე ნავთობპროდუქტების შემთხვევითი დაღვრის შემთხვევაში, მისი შეკრება მოხდება ნავთობპროდუქტების დამჭერში, რომლის მოწყობაც დაგეგმილი აქვს კომპანიას. ნავთობდამჭერში დაგროვილი ნარჩენის გატანა მოხდება დაგროვების შესაბამისად, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

6.4 ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება, ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე

ავტოგასამართი სადგურისთვის განკუთვნილი მიწისზედა რეზერვუარების ქვეშ მოწყობილია ჰიდროსაიზოლაციო ფენა.

ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს არ მდებარეობს წყლის ზედაპირული ობიექტები. გარდა ამისა, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია მობეტონებულია, რაც ასევე გამორიცხავს ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურების ალბათობას.

6.5 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია მობეტონებულია და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, ნიადაგის ნაყოფიერი ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.6 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ტერიტორიის დათვალიერებით და ვიზუალური შეფასებით, არც საპროექტო ტერიტორიაზე და არც მიმდებარე ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ ფიქსირდება. შესაბამისად, მასზე ობიექტის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.7 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

პროექტის მცირე მასშტაბიდან გამომდინარე და სატრანსპორტო ნაკადების ფონური ინტენსივობის გათვალისწინებით, ადგილობრივ გზებზე გადაადგილების შეზღუდვა (ე.წ. საცობების წარმოქმნა) ნაკლებად მოსალოდნელია. ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში ავტოტრანსპორტის გამოყენება საჭირო იქნება საწვავის რეზერვუარების შევსების სამუშაოების შესასრულებლად. შესაბამისად მოძრაობა არ იქნება ინტენსიური და სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება ასევე მოსალოდნელი არ არის.

6.8 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა

6.8.1 საყოფაცხოვრებო ნარჩენები

ობიექტის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ისეთი საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, როგორიცაა პერსონალის კვებითი ნარჩენები. აღნიშნული ნარჩენებისთვის ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულია შესაბამისი ურნები. ნარჩენების გატანა ხდება დაგროვების შედეგად, შესაბამისი კომუნალური სამსახურის მიერ მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

6.8.2 სახიფათო ნარჩენები

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ობიექტის ფუნქციონირების პროცესში, მოსალოდნელია ისეთი სახის ნარჩენების წარმოქმნა, როგორიცაა ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრების, ხელთათმანების და სხვა საწმენდი საშუალებების წარმოქმნა.

ასეთი სახის სახიფათო ნარჩენებისთვის კომპანიას ტერიტორიაზე განთავსებული აქვს შესაბამისი მარკირებული ურნა. დაგროვილი ნარჩენების გატანა ხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის

მიერ. კომპანიას სახიფათო ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს „მედიკალ ტექნოლოჯთან“. ამასთან კომპანიას მომზადებული და სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმა.

6.9 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება

ობიექტის ფუნქციონირების დროს მოსალოდნელია მავნე ნივთიერებების (ნახშირწყალბადების) გამოყოფა დიზელის საწვავის მიღებისა და გაცემისას. არსებული ობიექტიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის სტაციონარულ წყაროებს წარმოადგენენ: ბუნებრივი აირის გაცემის წერტილები და რეზერვუარებში საწვავის მიღება. როგორც უკვე აღინიშნა ობიექტზე დაგეგმილია წელიწადში დაახლოებით 600 ტონა დიზელის საწვავის მიღება და გაცემა. ობიექტის მცირე წარმადობის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა არ იქნება მნიშვნელოვანი და შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი არ არის.

6.10 ხმაურის გავრცელება

ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურის გავრცელება მოსალოდნელია მხოლოდ საწვავის მიღების და გაცემის დროს, რომელიც უმნიშვნელო ხასიათისაა და დადგენილ ნორმებთან გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

6.11 კუმულაციური ზემოქმედება

ობიექტის მიმდებარედ მსგავსი პროფილის მქონე ობიექტი არ მდებარეობს, როგორც ზემოთ აღინიშნა ავტოგასამართი სადგურის მომიჯნავედ მდებარეობს შპს „ინდიკოს“ საკუთრებაში არსებული ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი და ასფალტის დანადგარები. თუმცა ავტოგასამართი სადგურის და მათი გაფრქვევები განსხვავებულია, ამასთან ავტოგასამართი სადგურის მცირე წარმადობის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტი მდებარეობს ავტომაგისტრალთან, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო და საქალაქთაშორისო დანიშნულების გზას და გამოირჩევა ინტენსიური მიმოსვლით, რაც თავისთავად ხმაურის და მტვრის წარმოქმნასთან არის დაკავშირებული. თუმცა, ობიექტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ხმაური და ასევე გაფრქვეული მავნე ნივთიერებები გზასთან მიმართებაში უმნიშვნელო ხასიათისაა და კანონით დადგენილი ნორმების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

7. დანართი 1 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

*|||||||

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტაზე: info@napr.gov.ge

8. დანართი 2 - ამონაწერი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო რეესტრიდან

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21121972, 02/12/2021 17:51:31

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ინდიკო
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	239862298
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	56/4-34; 18/03/1996
მარეგისტრირებელი ორგანო:	სენაკის რაიონის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, სენაკი, ღვინჯილიას ქ., №3

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა:	ltdindico@gmail.com
ტელეფონი:	591224467

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - მანანა გვასალია, 39001024618

პარტნიორები

მესაკუთრე	**წილი**	**წილის მმართველი**
იოსებ გადელია, 01024010895	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R16004807 25/01/2016 15:42:37**

  კრედიტორი : შპს ვირტგენ საქართველო (საქართველო) 404491974

  მესაკუთრე : შპს ინდიკო (საქართველო) 239862298

  საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : ასფალტის ქარხანა (იხილეთ სარეგისტრაციო დოკუმენტი)**

  საფუძველი: **მოძრავი ქონების გირავნობის ხელშეკრულება, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, 160029131, 14.01.2016**

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R16046395 11/11/2016 17:46:05**

  კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869

  მესაკუთრე : შპს ინდიკო (საქართველო) 239862298

  საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : გირავნობის ხელშეკრულების მე-4 პუნქტში აღწერილი ქვის სამსხვრევი მანქანა სპეციალური მობილური.**

  საფუძველი: **გირავნობის ხელშეკრულება, 002730-ა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 11.11.2016**

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R17369492 14/09/2017 19:19:45**

  კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869

  მესაკუთრე : შპს ინდიკო (საქართველო) 239862298

  საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : გირავნობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1.1.1 ქვეპუნქტში მითითებული მოძრავი ქონება**

  საფუძველი: **გირავნობის ხელშეკრულება, 002730-ზ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 14.09.2017**

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge